არაოფიციალური თარგმანი

შუალედური ანგარიში #2
2012 წლის 6 სექტემბერი - 19 სექტემბერი
2012 წლის 24 სექტემბერი

I. მოკლე შინაარსი

- საარჩევნო კაამპანია კიდევ უფრო პოლარიზებულია და ძირითადი კონკურენცია ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“-ს შორის მიმდინარეობს. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების საარჩევნო კამპანიები კონფრონტაციული და ხისტია.

- იმ დროს როდესაც ოპოზიციურ პარტიებს ამომრჩევლებისთვის საკუთარი გზავნილების მიტანის საშუალება გააჩნიათ, ქართული ოცნება ჩივის არათანასწორი პირობების და ოპოზიციური შეხედულებების მიმართ შეუმჩნეველი ზეწოლისა და დაშინების ატმოსფეროს გამო. უწყებათშორისი კომისია აგრძელებს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებულ განცხადებებზე პროაქტიულ რეაგირებას და მან დღეისთვის უკვე 11 რეკომენდაცია გასცა, მათ შორის ზოგიერთი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შეჩერებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებია.

- არჩევნებთან დაკავშირებული სამზადისი განრიგის მიხედვით მიმდინარეობს და ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) ყველა იურიდიულ ვადას იცავს. საარჩევნო ბიულეტინების და სიების ბეჭდვა 21 სექტემბერს დაიწყება. საკონსულოებში საარჩევნო სიების ფორმირება დასრულებულია და უცხოეთში სულ 45 საარჩევნო უბანი დაფუძნდა, რომლებშიც 42,613 ამომრჩეველია რეგისტრირებული. ცესკოს მიერ უცხოეთში ამომრჩეველთა რეგისტრაციის ვადის გახანგრძლივებამ პრაქტიკულად ვერ შეამცირა შესაბამისი სარეგისტრაციო პროცედურების მიმართ კრიტიკა და ამ პროცედურებთან დაკავშირებული გაუგებრობა.

- ამომრჩევლებმა არჩევანი 2,806 კანდიდატს შორის უნდა გააკეთოს, მათ შორის 2,313 კანდიდატი პარტიულ სიებშია შეყვანილი ხოლო 493 კანდიდატი კი მაჟორიტარულ ოლქებში იყრის კენჭს. სულ 797 ქალი კანდიდატია დარეგისტრირებული (28.4 პროცენტი). არც ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და არც ქართულ ოცნებას არ შეუსრულებიათ ნებაყოფლობითი გენდერული კვოტები საკუთარ საარჩევნო სიებში. როგორც ჩანს ყველა მაჟორიტარულ ოლქში კონკურენტული გარემოა შექმნილი რადგან თითოეულ მათგანში ორიდან ათამდე კანდიდატი

იბრძვის გამარჯვებისთვის. 14 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ გაახანგრძლივა ქართული ოცნების მხარდამჭერის პატიმრობის ვადა, რომელიც 16 ივლისს ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვის ბრალდებით იქნა დაკავებული, აღნიშნული პიროვნება 31 აგვისტოს ქართული ოცნების საარჩევნო სიაში კანდიდატად იქნა დარეგისტრირებული.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ქართული ოცნების 100-ზე მეტი ინდივიდუალური შემომწირველის საქმე გამოიძია, მათგან 68 სასამართლოს მიერ უკანონო შემოწირულობების გამო იქნა დაჯარიმებული. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის 10 ინდივიდუალური შემომწირველის საქმე იქნა განხილული და აქედან 8 დაჯარიმებული. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მათი შემომწირველთა დაჯარიმების ასეთი მცირე რაოდენობა იმით ახსნა რომ ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკის მიხედვით პარტია წინასწარ უხსნის შემომწირველებს თუ რა ოდენობის შემოწირულებების გაკეთება შეიძლება მათი საგადასახადო დეკლარაციებიდან გამომდინარე.

- მედია ამომრჩევლებს საარჩევნო კამპანიის ფართოდ გაშუქებით უზრუნველყოფს. თუმცა მაუწყებლების უმრავლესობა, რომელთა მონიტორინგსაც ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია აწარმოებს, როგორც ჩანს საკუთარ ახალი ამბების გამოშვებებში და მიმდინარე მოვლენებისადმი მიძღვნილ გადაცემებში მიკერძოებულ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს. ჯერ-ჯერობით მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებელი სთავაზობს მაყურებლებს საარჩევნო კამპანიის დაბალანსებულ გაშუქებას.

- ჯერ-ჯერობით საჩივრების უმრავლესობა, რომლებიც საოლქო საარჩევნო კომისიებშია წარდგენილი, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნასთან და საარჩევნო უბნების საზღვრების განსაზღვრასთან არის დაკავშირებული. საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული რამოდენიმე გადაწყვეტილება სასამართლოში იქნა გასაჩივრებული და არცერთი მათგანი არ ყოფილა დაკმაყოფილებული.

II. საარჩევნო გარემო

ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ინტენსივობის საარჩევნო ღონისძიებები მიმდინარეობს. საარჩევნო კამპანიის ძირითადი ნაწილი ორი მთავარი კონკურენტის - ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართულ ოცნებას შორის კონკურენციაზეა კონცენტრირებული. სხვა პარტიები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო რომ მათ არ შეუძლიათ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების უზარმაზარ რესურსებთან კონკურენციის გაწევა, მათ შორის ძირითად ტელეკომპანიებში ფასიანი სარეკლამო დროის ყიდვა.

საარჩევნო კამპანიის პოლარიზაცია გაიზარდა. როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ისე ქართული ოცნების ლიდერების და მაჟორიტარული კანდიდატების საარჩევნო გზავნილების ტონი კონფრონტაციული და ხისტია. იმ დროს როცა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერები სისტემატურად გამოთქვამენ ეჭვებს ბატონი ივანიშვილის აქტივების წარმომავლობასთან და გამარჯვების შემთხვევაში მის პოლიტიკურ მიზნებთან დაკავშირებით, ქართული ოცნება ამაზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ ფაქტების დამახინჯების ბრალდებით პასუხობს.

პარტიების უმრავლესობა ინტენსიურად აწარმოებს კარდაკარს და სოფლებში თუ ქალაქებში მცირემასშტაბიან შეხვედრებს. გარდა ამისა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და ქართულმა ოცნებამ ფართომასშტაბიანი მიტინგების და კონცერტების ორგანიზება მოახდინეს, ისინი ამომრჩევლების მოზიდვას მოსახლეობის ყველა სეგმენტიდან ცდილობენ. საარჩევნო ბლოკი ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება და ახალი მემარჯვენეები ძირითადად სოფლად მცხოვრებ თავიანთ ტრადიციულ ელექტორატს ეყრდნობიან.

ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ძირითად ურბანულ ცენტრებში საზოგადოებრივ ტრანსპორტად გამოყენებულ კერძო ავტობუსებზე და მთელი ქვეყნის მასშტაბით ბილბორდებზე სარეკლამო სივრცის გამოყენების მხრივ კვლავ დომინანტური პოზიცია უკავია. 12 სექტემბერს ორმა ძირითადმა სარეკლამო კომპანიამ ფასდაკლება გამოაცხადა და დამატებითი ბილბორდები გამოყო. დღესდღეისობით ქართულ ოცნებას ბილბორდებზე რეკლამა მხოლოდ ფოთში და ზუგდიდში აქვს შეძენილი, ხოლო ქრისტიან-დემოკრატიულმა გაერთიანებამ რამოდენიმე ბილბორდზე რეკლამა თბილისში შეიძინა. საზოგადოებრივი სივრცის საარჩევნო პოსტერებისთვის გამოყოფასთან დაკავშირებული პროცედურები ყველგან არ ხორციელდება. 10 სექტემბერს უწყებათშორისმა კომისიამ აღიარა ეს ფაქტი და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს საარჩევნო პოსტერებისთვის დამატებითი სივრცის გამოყოფასთან დაკავშირებით რეკომენდაციით მიმართა. ზოგიერთ რეგიონში ევროპის/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ ქართული ოცნების პოსტერების ხშირი დაზიანების ფაქტები დააფიქსირა.

იმ დროს როდესაც ოპოზიციას როგორც ჩანს ელექტორატისთვის საკუთარი გზავნილების მიწოდების საშუალება გააჩნია, ქართული ოცნების და სხვა ოპოზიციური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოხატავენ ოპოზიციურ შეხედულებებთან დაკავშირებით და ასევე საჯარო მოხელეებისა და სოციალური დახმარების მიმღებების მიმართ არსებული შეუმჩნეველი ზეწოლისა და დაშინების ატმოსფეროს გამო. ამ განცხადებების მიხედვით ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, მუნიციპალური ხელისუფლების და ხანდახან პოლიციის წარმომადგენლები ასეთ ამომრჩევლებს

მიუთითებენ რომ არ მიიღონ მონაწილეობა ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში და დაესწრონ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შეხვედრებს. ოპოზიციის მხარდამჭერების გარკვეული რაოდენობა იქნა დაკავებული[1]. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა ასევე დააფიქსირა შემთხვევები როდესაც საჯარო ადმინისტრაციის თანამშრომლებს და მასწავლებლებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შეხვედრებში მონაწილეობის მიღებისკენ მოუწოდებდნენ. ერთ კონკრეტულ შემთხვევაში უწყებათშორისმა კომისიამ გასცა რეკომენდაცია რუსთავის ერთ-ერთი სკოლის დირექტორის მოხსნასთან დაკავშირებით რადგან მან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს საკუთარ სკოლაში მასწავლებლებთან შეხვედრის ნება დართო, ხოლო ქართული ოცნების კანდიდატის მიერ მსგავსი შეხვედრის ამ სკოლაში ჩატარების თხოვნა რეაგირების გარეშე დატოვა[2]. ქართულმა ოცნებამ უკმაყოფილება გამოხატა info9.com.ge-ს გადამღები ჯგუფების გამო, ქართული ოცნების წარმომადგენელთა აზრით ამ გადამღები ჯგუფების მიერ ქართული ოცნების წარმომადგენლების ამომრჩევლებთან შეხვედრის გადაღების მანერა დაშინების მცდელობად აღიქმებოდა[3].

უწყებათშორისი კომისია საჯარო მოხელეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებულ ბრალდებებზე პროაქტიულ რეაგირებას აგრძელებს. დღესდღესიობით კომისიამ 11 რეკომენდაცია გასცა, მათ შორის აღსრულების ეროვნული ბიუროს, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის, შრომის, ჯანდაცვის და სოციალური საკითხების სამინისტროს და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მისამართით. როგორც ჩანს ყველა ზემოდჩამოთვლილი ორგანო სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შეჩერებით დაწყებული და საარჩევნო პერიოდში სოციალური დახმარებების გადაფასების პროცესის შეჩერებით დამთავრებული უწყებათშორისი კომისიის ყველა რეკომენდაციას ასრულებს. ოთხ შემთხვევაში უწყებათშორისმა კომისიამ საკუთარი რეკომენდაციები ახსნა იმით რომ მისი მიზანი ისეთი წარმოდგენის თავიდან აცილებაში მდგომარეობდა, რომლის მიხედვითაც გარკვეული საქმიანობა „საარჩევნო მიზნის“ მიღწევისკენ მიმართული ან პოლიტიკურად მოტივირებული იყო.

---

[1] საქართველოში სამონიტორინგო მისიის ამოქმედების დღიდან ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა ქართული ოცნების მხარდამჭერთა და აქტივისტთა დაკავების რვა შემთხვევა დააფიქსირა (იმერეთში, თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში და ქვემო ქართლში), დაკავების საფუძვლები სხვადასხვანაირი იყო, მათ შორის წვრილი ხულიგნობა.

[2] უწყებათშორისი კომისიის 14 სექტემბრის განცხადება.

[3] ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა ასევე დააფიქსირა აღნიშნული გადამღები ჯგუფი ქართული ოცნების მიერ 7 სექტემბერს სოფელ მაღაროში (სიღნაღის რაიონი) და 15 სექტემბერს ლანჩხუთში ჩატარებულ შეხვედრებზე. Info9.com.ge ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი ვებ პორტალია, ამ ვებგვერდის დიზაინი ქართული ოცნების მხარდამჭერი მთავარი ვებ პორტალის info9.ge-ს დიზაინის კოპირებას ახდენს.

იმის მიუხედავად რომ საარჩევნო სუბიექტებს ხმების მოსყიდვის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროთ, სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია მათი დისკვალიფიცირება თუ ხმების მოსყიდვის ფაქტი დადგენილი იქნება. პროკურატურამ გამოძიება დაიწყო ხმების მოსყიდვის სავარაუდო შვიდ ფაქტთან დაკავშირებით, მათ შორის ოთხი საქმე უკანონო შემოწირულობებს შეეხებოდა. ერთ-ერთი ასეთი საქმის ფარგლებში სასამართლოს გადაწყვეტილებით ორი კომპანიის: „შ.პ.ს. გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ და „შ.პ.ს. სტუდია მაესტროს“ თანამგზავრული თეფშების და ტელეაღჭურვილობის დაყადაღება მოხდა[4]. ამის შედეგად „შ.პ.ს. გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ დაახლოებით 110,000 თანამგზავრული თეფშის და 18,000 სატელიტური რისივერის და „შ.პ.ს. სტუდია მაესტროს“ დაახლოებით 55,000 თანამგზავრული თეფშის და 18,000 სატელიტური რისივერის დარიგება შეწყვეტილი იქნა. 10 სექტემბერს უწყებათშორისმა კომისიამ გამოაცხადა რომ მაესტროს აღჭურვილობაზე ყადაღის მოხსნა შესაძლებელი იქნებოდა, ამჟამად ამ აღჭურვილობის გაცემის პირობებზე კომპანიასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს. კიდევ ერთი საქმე ეხებოდა ქართული ოცნების მხარდამჭერს მერაბ კაჭახიძეს, რომლის პატიმრობაში ყოფნის ვადა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 14 სექტემბერს იქნა გახანგრძლივებული, აღნიშნული პირონების დაკავება 16 ივლისს ამომრჩეველთა მოსყიდვის ბრალდებით მოხდა. ბატონი კაჭახიძე 31 აგვისტოს ქართული ოცნების კანდიდატად იქნა დარეგისტრირებული, მაგრამ იგი კვლავ პატიმრობაში დარჩება მინიმუმ შემდეგ სასამართლო განხილვამდე, რომელიც 8 ოქტომბერს არის დანიშნული.

18 სექტემბერს საღამოს სამი ტელეკომპანიის ეთერით გავიდა ვიდეო კადრები, რომლებშიც ნაჩვენები იყო თბილისში გლდანის საპყრობილეში პატიმრების მიმართ სასტიკი მოპყრობა, როგორც ჩანს ეს მოვლენა საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული არ ყოფილა. ამის შედეგად თბილისში, ქუთაისში და საქართველოს სხვა ქალაქებში 18 სექტემბერის ღამეს და მეორე დღეს მთელი დღის განმავლობაში საპროტესტო აქციები გაიმართა. პოლიცია არ ჩარეულა ამ გამოსვლების მიმდინარეობაში. არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია გააგრძელებს ამ მოვლენებზე დაკვირვებას და ძირითად ყურადღებას გაამახვილებს ამ მოვლენების მიერ საარჩევნო პერიოდის დარჩენილ ნაწილზე პოტენციურ ზეგავლენაზე და ხელისუფლების და არჩევნებში მონაწილე ძირითადი მოთამაშეების პოლიტიკურ რეაქციაზე ადამიანის უფლებების იმ დარღვევების მიმართ, რომლებიც ამ კადრებშია ნაჩვენები.

---

[4] იხილეთ სასამართლოს მიერ 21 და 25 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებები („შ.პ.ს. გლობალ კონტაქტ კონსალტინგი“), სასამართლოს მიერ 14 ივნისს მიღებული გადაწყვეტილება და 11 და 15 ივლისს შედგენილი ადმინისტრაციული ოქმები („შ.პ.ს. მაესტრო“). (ასევე იხილეთ ქვემოდ VI-ე განყოფილება, რომელიც მედიას ეხება).

III. საარჩევნო ადმინისტრაცია

ცესკოს მზადება არჩევნებისთვის კვლავ განრიგის მიხედვით მიმდინარეობს. საოლქო საარჩევნო კომისიებში საარჩევნო მასალების განაწილება უკვე მოხდა, ხოლო საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა 21 სექტემბრის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიწყება - 21 სექტემბერი საბოლოო ვადაა კანდიდატების მიერ საკუთარი კანდიდატურების არჩევნებიდან მოსახსნელად. მოხდება საარჩევნო ოქმების წინასწარი დაბეჭდვა რაც ინოვაციურ მიდგომას წარმოადგენს, ამ ფორმებზე მოცემული იქნება არჩევნებში მონაწილე პარტიების, ბლოკების და კანდიდატების სახელები, რათა ოქმების შევსების დასრულების პროცესი დაჩქარდეს და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი შეცდომების დაშვების ალბათობა. საარჩევნო უბნების თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებს და მდივნებს ოქმების შესავსებათ სპეციალური ტრენინგი ჩაუტარდებათ.

ცესკომ არჩევნების წინასწარი შედეგების დამუშავების და გამოქვეყნების ყოვლისმომცველი სისტემა დანერგა. მოხდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის შემუშავება, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების ცესკოს ვებსაიტზე დაუყოვნებლივ ატვირთვის და მონაცემების ცენტრალურ მონაცემთა ბაზაზე შეყვანის ხელშეწყობის საშუალებას იძლევა. ამომრჩევლებისთვის არჩევნების დღეს საარჩევნო პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სპეციალური სატელევიზიო სოციალური რეკლამის მეშვეობით ხდება, რომელიც კვირაში ორჯერ ორ ნაციონალურ მაუწყებელზე გადის ეთერში.

ცესკო ხშირად ატარებს სხდომებს, რომლებიც ღიაა დამკვირვებლებისთვის და მედიისთვის. განხილვები გულახდილად და აქტიურად მიმდინარეობს, ხოლო გადაწყვეტილებები ხშირად მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობით მიიღება. ცესკო საკუთარ გადაწყვეტილებებს მის ვებსაიტზე ოპერატიულად ტვირთავს, გარდა ამისა იგი დამკვირვებლების მიერ ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებულ თხოვნებს ასევე ოპერატიულად აკმაყოფილებს. ცესკო რეგულარულ კონსულტაციებს ატარებს სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან.

IV. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ამომრჩეველთა წინასწარ სიაში 3,621,256 ამომრჩეველია შეყვანილი. აღნიშნული სიები საარჩევნო უბნებში 26 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე იყო გამოფენილი, რათა ამომრჩევლებს მისცემოდათ საშუალება გადაემოწმებიათ საკუთარი მონაცემები ამ სიებში და მოეთხოვათ შესწორებები; შემდგომში მოხდება ამ სიების განახლება. საუბნო საარჩევნო კომისიებმა ევროპის/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს განუცხადეს, რომ ამგვარი მოთხოვნების როადენობა მცირე იყო. საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა გადანაწილებასთან დაკავშირებული თხოვნების მიღება შესაძლებელია

არჩევნებამდე და არჩევნების დღეს თუ შესაბამისი დოკუმენტები იქნება წარმოდგენილი იმ ამომრჩევლებთან დაკავშირებით, რომლებიც ციხიდან გამოვიდნენ ან რომლებიც საავადმყოფოდან გაწერეს ან რომლებიც უცხოეთიდან დაბრუნდნენ.

9 სექტემბერს ცესკომ სამი დღით გადაწია თავდაპირველი ვადა უცხოეთში მცხოვრები მოქალაქეების მიერ საქართველოს საკონსულოებში არსებულ საუბნო საარჩევნო კომისიებში რეგისტრაციისათვის. უცხოეთში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც საკონსულოს რეესტრში არიან გატარებული, ავტომატურად ხვდებიან ამ საარჩევნო სიებში. 10 სექტემბრისთვის საკონსულოებში არსებული საარჩევნო სიების შედგენა დასრულდა და 42,613 ამომრჩეველი დარეგისტრირებული იქნა უცხოეთში გახსნილ 45 საარჩევნო უბანზე, აქედან 1,409 ამომრჩეველი არ ყოფილა საკონსულოს რეესტრში დარეგისტრირებული[5]. თუმცა უცხოეთში ამომრჩეველთა სიაში რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების შესახებ ზუსტი ინფორმაცია დროულად არ ყოფილა მიწოდებული. გაუგებრობა ძირითადად გამოწვეული იყო საკონსულოებში რეგისტრაციის მიღებასა (რისთვისაც ამ კონკრეტულ ქვეყანაში იურიდიული მისამართის წარმოდგენაა საჭირო) და ამომრჩეველთა სიაში რეგისტრაციის მიღებას (რისთვისაც კონკრეტულ ქვეყანაში იურიდიული მისამართის წარმოდგენა აუცილებელი არ არის) შორის განსხვავების ნაკლებობით. არც საგარეო საქმეთა სამინისტროს და არც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და არც ცესკოს ვებსაიტზე არ არის განთავსებული ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ ხდება უცხოეთში ამომრჩეველთა რეგისტრირება[6].

V. კანდიდატების რეგისტრაცია

თექვსმეტივე საარჩევნო სუბიექტმა (14-მა პოლიტიკურმა პარტიამ და 2-მა საარჩევნო ბლოკმა) წარმოადგინა კანდიდატების სია პროპორციული არჩევნებისთვის და ყველა პარტიამ ერთის გარდა წარმოადგინა კანდიდატთა სიები მაჟორიტარული არჩევნებისთვის[7]. ამომრჩევლებმა არჩევანი 2,313 პროპორციულ პარტიულ სიებში შეყვანილ კანდიდატს და 493 მაჟორიტარ კანდიდატს შორის უნდა გააკეთოს. 729 ქალი კანდიდატია შეყვანილი პროპორციულ სიებში ხოლო 68 ქალი კანდიდატი კი მაჟორიტარულ ოლქებში იყრიან კენჭს. გარდა ამისა 4 დამოუკიდებელი კანდიდატი ოთხ საარჩევნო ოლქში იყრის კენჭს. ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მაჟორიტარული კანდიდატები 73-ივე საარჩევნო ოლქში ჰყავს; ქართულ ოცნების მაჟორიტარი კანდიდატი 69 ოლქში იყრის კენჭს; „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“-ს მაჟორიტარი

[5] რუსეთის ფედერაციაში საარჩევნო უბნების ორგანიზება არ მომხდარა რადგან საქართველოს და რუსეთის ფედერაციას შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს.

[6] სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვებსაიტზე მხოლოდ საკონსულო რეგისტრაციისთვის საჭირო აპლიკაციის ფორმაა განთავსებული.

[7] „სახალხო მოძრაობას“ არ დაუსახელებია კანდიდატები მაჟორიტარულ ოლქებში.

კანდიდატები 64 საარჩევნო ოლქში ჰყავს წარდგენილი; ლეიბორისტულ პარტიას მაჟორიტარული კანდიდატები 59 ოლქში ჰყავს წარდგენილი; ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებას 58 საარჩევნო ოლქში ჰყავს მაჟორიტარული კანდიდატები წარდგენილი ხოლო ახალ მემარჯვენეებს 54 საარჩევნო ოლქში ჰყავთ თავიანთი მაჟორიტარული კანდიდატები წარდგენილი. ყველაზე მეტი მაჟორიტარი კანდიდატი (10) თბილისის საბურთალოს მაჟორიტარულ ოლქში იყრის კენჭს, იმ დროს როცა ადიღენის რაიონში მხოლოდ ორი მაჟორიტარი კანდიდატი იღებს არჩევნებში მონაწილეობას. კანდიდატების რეგისტრაციასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი საჩივარი იქნა შეტანილი[8]. მანამდე საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას გარკვეული პრობლემა წარმოიშვა ქართული ოცნებისთვის საარჩევნო ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით. თავდაპირველად ქართულმა ოცნებამ ჩათვალა, რომ ის შეძლებდა მის საარჩევნო ბლოკში შემავალი ერთ-ერთი პარტიის მიერ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამოყენებული საარჩევნო ნომრის შენარჩუნებას. ცესკომ, საარჩევნო კოდექსის საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე ქართულ ოცნებას განსხვავებული საარჩევნო ნომერი მიანიჭა. ახალი საარჩევნო ნომრის მინიჭებამ ქართული ოცნების მიერ წინა საარჩევნო ნომრის გამოყენებით დაბეჭდილი საარჩევნო მასალები გამოუსადეგარი გახადა - აღნიშნული მასალების რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო.

16-დან მხოლოდ 6-მა საარჩევნო სუბიექტმა შეძლო ნებაყოფლობითი კვოტის შესრულება, რომლის მიხედვითაც საარჩევნო სიაში 10 კანდიდატიდან 2 ქალი უნდა იყოს[9]. ამ კვოტის შემსრულებელი სუბიექტები სახელმწიფოსგან 10%-ით მეტ დაფინანსებას მიიღებენ თუ ისინი პროპორციულ არჩევნებში ოთხპროცენტიანი ბარიერის გადალახვას შეძლებენ. არც ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და არც ქართულ ოცნებას აღნიშნული ნებაყოფლობითი კვოტა არ შეუსრულებიათ. მთლიანობაში ქალები ამ არჩევნებში მონაწილე კანდიდატების 28 პროცენტს შეადგენენ. ქართული ოცნების 269 კანდიდატიდან 41 ქალია (15 პროცენტი), ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის 228 კანდიდატიდან 20 ქალია (8 პროცენტი).

VI. საარჩევნო კამპანიის დაფინანსება

1 იანვრიდან 9 აგვისტომდე პერიოდში ყველა პარტიის და საარჩევნო ბლოკის მისამართით გაკეთებული (გამომჟღავნებული) შემოწირულობების საერთო ოდენობამ 19,216,936 ლარი შეადგინა. 748 შემომწირველმა სულ 16,659,586 ლარი შესწირა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, იმ დროს როცა 969 შემომწირველმა

[8] ცესკომ უარი განაცხადა ერთ-ერთი დამოუკიდებელი კანდიდატის რეგისტრაციაზე, რადგან იგი არ აკმაყოფილებდა ქვეყანაში ბოლო ორი წლის განმავლობაში ცხოვრებასთან დაკავშირებულ მოთხოვნას, ცესკოს გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ.

[9] ეს პარტიები და საარჩევნო ბლოკებია: გიორგი თარგამაძე ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება, სამართლიანი საქართველოსთვის, ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი, ახალი მემარჯვენეები, თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა და სახალხო მოძრაობა.

სულ 2,400,257 ლარი შესწირა იმ პარტიებს, რომლებიც საარჩევნო ბლოკ ქართულ ოცნებაში შედიან. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მაქსიმალური ინდივიდუალური შემოწირულობა (60,000 ლარის ოდენობით) სულ 89 შემომწირველისგან მიიღონ ხოლო ქართულმა ოცნებამ კი აღნიშნული ოდენობის თანხა მხოლოდ ორი შემომწირველისგან მიიღო[10].

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას განუცხადა რომ იგი ახდენს შემომწირველებთან დაკავშირებული ინფორმაციის გადამოწმებას სოციალური დახმარების მიმღებ ადამიანთა სახელმწიფო მონაცემთა ბაზაში და უძრავი ქონების მონაცემთა ბაზაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ასევე ითხოვს შემომწირველებისგნ საგადასახადო ჩანაწერების წარმოდგენას, რომელიც საგადასახადო ორგანოსგან - შემოსავლების სამსახურისგან უნდა იყოს მოწოდებული, ამგვარი ჩანაწერების წარმოდგენას იმ შემთხვევაში ითხოვენ როდესაც დამატებითი გამოძიების ჩატარება საჭიროდ იქნება ჩათვლილი[11]. იმ შემთხვევაში თუ შემომწირველს ბოლო ორი წლის განმავლობაში საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია არ აქვს შევსებული მაშინ აუდიტის სამსახური ამ პირების საქმეებს სასამართლოებს გადასცემს. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ დეტალურად შესწავლილ 35 საქმეში სასამართლოებმა ჩათვალეს რომ ამ პირების მიერ განხორციელებული შემოწირულობები უკანონო იყო რადგან „შემომწირველმა ვერ შეძლო შეწირული ქონების წარმომავლობის დადასტურება“[12]. იმ დროს როცა მოქალაქეებს შემოსავლების დეკლარირების მოხდენა და გადასახადების გადახდა კანონით ევალებათ, კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ არ ითხოვს ამ ვალდებულების შესრულებას იმისთვის რომ შემოწირულობა კანონიერად იქნას ჩათვლილი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ასევე არ აქვს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი შემოსავლების სამსახურთან, რაც მოთხოვნილია მისი წესდების

---

10 ეს ციფრები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებსაიტზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას ეყრდნობა. 19 სექტემბერს აუდიტის სამსახურმა აცნობა ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას რომ მოცემული მომენტისთვის ყველა პარტიისთვის გაკეთებული შემოწირულობების საერთო რაოდენობა 28,348,419 ლარს შეადგენს. აღნიშნული ინფორმაცია ჯერ-ჯერობით არ ატვირთულა აუდიტის სამსახურის ვებსაიტზე ისე როგორც ამას კანონი ითხოვს (კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, მუხლი 26.6)

11 იხილეთ საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლი, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 34(1)-ე მუხლის 2 (გ)-ე და 3-ე პარაგრაფები.

12 იხილეთ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 34(1)-ე მუხლის 2(გ)-ე პარაგრაფი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მოხდა 102 შემომწირველის საქმის გამოძიება ხოლო სასამართლოებმა მოახდინეს მათი დაჯარიმება რადგან მათ ვერ შეძლეს მათ მიერ „შემოწირული ქონების წარმომავლობის დამტკიცება“.

მიხედვით, რათა მოხდეს იმ პროცედურების ჩამოყალიბება რომლებიც საჭიროა საგადასახადო დოკუმენტების გადამოწმებისთვის[13].

კანონმდებლობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და სასამართლოებს შემოწირულობის „სამართლიანობის“ განსასაზღვრად ფართო დისკრეციას ანიჭებს, გარდა ამისა კანონმდებლობა აუდიტის სამსახურს და სასამართლოებს მოკვლევის ჩატარებისას ასევე ფართო უფლებებს აძლევს. ხანდახან შემომწირველები არ იღებენ საკმარის ახსნა-განმარტებას იმის შესახებ თუ რატომ ხდება მათი დაჯარიმება იმ დროს როცა მათ შემოწირულობის გასაკეთებლად საკმარისი შემოსავალი ჰქონდათ წინა წლების მონაცემებიდან გამომდინარე, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შემომწირველებს ბოლო ორი წლის განმავლობაში არანაირი შემოსავლების დეკლარირება არ მოუხდენიათ. ის გარემოება რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ზოგიერთი მაღალი რანგის თანამდებობის პირი არჩევნებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახელით იღებენ მონაწილეობას ძირს უთხრის ამ ორგანოს მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის შესახებ არსებულ წარმოდგენებს[14].

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოიძია ქართული ოცნების 100-ზე მეტი შემომწირველის საქმე, მათ შორის 100 ლარის შემოწირულობასთან დაკავშირებული საქმე და ერთი ნატურის სახით გაკეთებული შემოწირულობის საქმე, რომლის ღირებულება 10 ლარს შეადგენდა. სასამართლოებმა ქართული ოცნების 68 შემომწირველის დაჯარიმების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. სახელწიფო აუდიტის სამსახურმა ასევე გამოიძია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის 10 შემომწირველის საქმე, აქედან მოხდა 8 შემომწირველის დაჯარიმება. ყველა შემომწირველს მათ მიერ შეწირული თანხის ხუთმაგი ოდენობის გადახდა დაეკისრა. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მათი შემომწირველთა დაჯარიმების ასეთი მცირე რაოდენობა იმით ახსნა რომ ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკის მიხედვით პარტია წინასწარ უხსნის შემომწირველებს თუ რა ოდენობის შემოწირულებების გაკეთება შეიძლება მათი საგადასახადო დეკლარაციებიდან გამომდინარე.

---

13 ჯერ-ჯერობით ხელისუფლებას ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიისთვის ურთიერთგაგების მემორანდუმის მხოლოდ სამუშაო ვარიანტი აქვს მიწოდებული

14 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ამჟამინდელმა დირექტორმა ლაშა თორდიამ 23 ივლისს მოიხსნა დეპუტატის უფლებამოსილება (იგი პარლამენტში ერთიან ნაციონალურ მოძრაობას წარმოადგენდა) რათა შეეცვალა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დირექტორი ლევან ბეჟაშვილი, რომელიც თავის მხრივ თანამდებობიდან არჩევნებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახელით მონაწილეობის მისაღებად გადადგა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დირექტორის ყოფილ მოადგილეს თინა ბოკუჩავას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიულ საარჩევნო სიაში ქალ კანდიდატებს შორის ყველაზე მაღალი რიგითი ნომერი აქვს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა და სასამართლოებმა უკანონო შემოწირულობებთან დაკავშირებული საქმეების დიდი უმრავლესობის განხილვა აუდიტის სამსახურის შიდა განაწესის მიღებამდე ანუ 2012 წლის ივლისამდე მოახდინა[15]. სახალხო დამცველის ინფორმაციით იმ ადამიანებს, რომელთა მიმართაც გამოძიება სავარაუდო უკანონო შემოწირულობების გაკეთების გამო მიმდინარეობდა, დაკითხვაზე იძახებდნენ ისე რომ მათ არ აცნობებდნენ რომ ისინი მოწმეების ან ეჭვმიტანილების სტატუსით იყვნენ გამოძახებულნი. მათ ჩხრეკდნენ და ართმევდნენ პირად ნივთებს ხანგრძლივი გასაუბრებების დროს, რომელთა ჩატარების მანერა არ მიუთითებდა იმაზე რომ ყველა შესაბამისი პროცედურები იყო დაცული[16]. სახალხო დამცველის ინფორმაციით ადვოკატებს ბოლომდე არ ეძლეოდათ საკუთარი მოვალეობების შესრულების საშუალება, ხოლო ამ შემომწირველების შემოსავლების შესახებ მონაცემები მათი ნებართვის გარეშე ქვეყნდებოდა.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მონაცემებით 8 მაისის შემდეგ უკანონო შემომწირველების უძრავ ქონებას ყადაღა 34 შემთხვევაში დაედო ხოლო 27 შემთხვევაში ამ ქონების აუქციონზე გაყიდვა მოხდა. ხუთ შემთხვევაში აუქციონზე გაყიდული უძრავი ქონება შემომწირველების ერთადერთი საცხოვრებელი იყო. მოძრავი ქონების (ძირითადად მანქანების) დაყადაღება 35 შემთხვევაში მოხდა, აქედან 25 შემთხვევაში ამ ქონების აუქციონზე გაყიდვა განხორციელდა. 75 ფიზიკური პირის და 5 იურიდიული პირის საბანკო აგნარიშები დაყადაღდა. უწყებათშორისი კომისიის რეკომენდაციების შედეგად (რომელთა შესრულება სავალდებულო არ ყოფილა) უძრავი ქონების დაყადაღების აღსრულების და შესაბამისად ამ ადამიანების გამოსახლების პროცესი შეჩერებული იქნა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან როგორც კრედიტორთან კონსულტაციების შედეგად აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მოხსნა ყადაღა ქართული ოცნების საარჩევნო ბლოკში შემავალი ექვსი პარტიის და მათთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშიდან, რითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს 27 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება მოხდა, ამ გადაწყვეტილების მიხედვით ქართული ოცნება 2,850,717 ლარით იყო დაჯარიმებული[17].

4 სექტემბერს პრეზიდენტი სააკაშვილი საარჩევნო კოდექსის 57.6-ე მუხლში შესწორებების ინიციატივით გამოვიდა. ამ ინიციატივის მიხედვით საარჩევნო სუბიექტის მიერ საკუთარი კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული ანგარიშის დროულად არ წარმოდგენის შემთხვევაში მისი რეგისტრაციიდან

---

15 იხილეთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წესდება: http://sao.ge/res/files/pdf/60/document.pdf

16 იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვა საქართველოს კონტროლის პალატისადმი: http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=1&id=1491

17 აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადების ნახვა შესაძლებელია ამ ბმულზე: http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=32&info_id=5455

მოხსნის მაგივრად მისი დაჯარიმება უნდა მოხდეს. ჯერ-ჯერობით პარლამენტს აღნიშნული შესწორება არ დაუმტკიცებია.

VII. მედია

აქამდე მედია ამომრჩევლებს საარჩევნო კამპანიის ფართოდ გაშუქებას როგორც ახალი ამბების გამოშვებების ისე თოქ-შოუების მეშვეობით სთავაზობდა. თუმცა მაუწყებლების უმრავლესობა, რომელთა მონიტორინგსაც ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია აწარმოებს, როგორც ჩანს საკუთარ ახალი ამბების გამოშვებებში და მიმდინარე მოვლენებისადმი მიძღვნილ გადაცემებში მიკერძოებულ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს. ზოგადად კრიტიკული ანალიზი და შეფასება ნაკლებად ხდებოდა, ასევე სახეზე იყო ფაქტების ხშირი დამახინჯების და სარედაქციო კომენტარების გაკეთების შემთხვევები.

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ მედიის წინასწარი მონიტორინგის შედეგები აჩვენებენ რომ საარჩევნო კამპანიის დაბალანსებული გაშუქება მხოლოდ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შესთავაზა მაყურებლებს. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ახალი ამბების გამოშვებებში როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ისე ქართული ოცნების საქმიანობის თანაბარი პროპორციით, ძირითადად პოზიტიური ან ნეიტრალური ტონით, გაშუქება მოხდა (შესაბამისად 13 და 17 პროცენტი). საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა ასევე ფართოდ გააშუქა დანარჩენი შვიდი პოლიტიკური პარტიის საქმიანობა, თითოეულ მათგანს 5-დან 12 პროცენტამდე საეთერო დრო დაეთმო და გაშუქების ტონი ძირითადად დადებითი იყო. ჯერ-ჯერობით საზოგადოებრივი მაუწყებელი ასრულებს მასზე კანონით დაკისრებულ მოვალეობას, რომლის მიხედვითაც ყველა „კვალიფიცირებული“ საარჩევნო სუბიექტისთვის საეთერო დროის ერთი საათიდან 60 წამი უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის უნდა იყოს გამოყოფილი.

რუსთავი 2-მა და იმედმა (კერძო ტელეკომპანიებიდან მხოლოდ ეს ორი არხი ფარავს მთელს საქართველოს) ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ მიკერძოებულობის დემონსტრირება მოახდინეს. მართალია იმედმა ქართული ოცნების საქმიანობის გაშუქებას ყველაზე დიდი დრო დაუთმო (26 პროცენტი) თუმცა ამ გაშუქების ტონი ძირითადად ნეგატიური იყო. სამაგიეროდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანების საქმიანობის გაშუქებას შესაბამისად 18 და 14 პროცენტი დაეთმო და გაშუქების ტონი ძირითადად პოზიტიური იყო. აჭარის ტელევიზიამ და რუსთავი 2-მა მთავარი საარჩევნო კონკურენტების საქმიანობის გაშუქებისას მსგავსი მიდგომის

დემონსტრირება მოახდინეს[18]. ამ ორ ტელეარხზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საქმიანობა ფართოდ იქნა გაშუქებული (36 და 28 პროცენტი შესაბამისად) და გაშუქების ტონი ძირითადად პოზიტიური იყო იმ დროს როცა ქართული ოცნების საქმიანობის გაშუქებას შესაბამისად 7 და 18 პროცენტი დაეთმო და გაშუქების ტონი ძირითადად უარყოფითი იყო. თავიანთ რეპორტაჟებში რუსთავი 2, იმედი და აჭარის ტელევიზია ხშირად განსხვავებას არ აკეთებდა მთავრობის ოფიციალური საქმიანობის და ოფიციალური პირების არჩევნებთან დაკავშირებულ გამოსვლებსა და საქმიანობებს შორის, რომლებიც ამავე დროს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაღალი რანგის წევრები არიან. მაგალითად ფართოდ ხდებოდა პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის გაშუქება მათი ოფიციალური თანამდებობების ფარგლებში მაშინაც კი როდესაც აშკარად საარჩევნო ღონისძიებებს ჰქონდა ადგილი, მაგალითად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატების წარდგენისას.

ამ ტელეკომპანიებისგან განსხვავებით 9-ე არხმა და მაესტრომ მათი საინფორმაციო გამოშვებების ყველაზე დიდი ნაწილი (შესაბამისად 48 და 36 პროცენტი) ოპოზიციურ საარჩევნო ბლოკ ქართულ ოცნებას მიუძღვნა, გაშუქების ტონი კი ძირითადად პოზიტიური იყო. ტელეკომპანია კავკასიის ახალი ამბების გამოშვებები ძირითადად ქართული ოცნების საქმიანობაზე იყო ფოკუსირებული (27 პროცენტი), მაგრამ ამავე დროს ამ ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში საკმაოდ დიდი დრო ეთმობოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანების (შესაბამისად 16 და 9 პროცენტი) საქმიანობების პოზიტიურად და ნეიტრალურად გაშუქებას. 9-ე არხის, მაესტროს და კავკასიის მაუწყებლობა მხოლოდ თბილისზე ვრცელდება, ეს არხები ასევე სატელიტურ მაუწყებლობას ახორციელებენ, რადგან მათ არ გააჩნიათ სახმელეთო მაუწყებლობის ლიცენზიები[19]. ე.წ. Must Carry Must Offer-ის პრინციპის ამოქმედების შედეგად ამ ტელეარხებმა საკაბელო არხებზე უფრო ფართოდ შეღწევა შეძლეს. მართალია ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის თანამოსაუბრეები მიესალმნენ Must Carry Must Offer-ის პრინციპის ამოქმედებას, მაგრამ მათი აზრით ამ პრინციპის მოქმედება უნდა გაგრძელდეს 1 ოქტომბრის შემდგომაც, რათა ხმების დათვლის და შედეგების გამოცხადების პერიოდიც იქნას დაფარული. ამჟამად თავად საკაბელო ტელევიზიების გადასაწყვეტია დატოვებენ თუ არა ზემოდხსენებული პრინციპით დაფარულ ტელეარხებს საკუთარ ქსელში. აღნიშნული პრინციპის ამოქმედების შემდეგ მაესტროს ყურებადობის რეიტინგი სამჯერ გაიზარდა.

---

18 აჭარის ტელევიზიას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა აფინანსებს, ჯერ-ჯერობით არ მომხდარა ამ ტელევიზიის საზოგადოებრივ მედია საშუალებად გადაკეთება ისე როგორც ამას ითხოვს კანონი მაუწყებლობის შესახებ

19 2015 წელს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის გამო 2005 წლის შემდეგ სახმელეთო მაუწყებლობის ლიცენზიები აღარ გაიცემა.

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მედია მონიტორინგის წინასწარი შედეგების მიხედვით საარჩევნო სუბიექტებს შორის მხოლოდ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და შედარებით ნაკლებად ქართულმა ოცნებამ მოახდინეს საეთერო დროის აქტიურად შესყიდვა. არჩევნებში მონაწილე სხვა სუბიექტებმა ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნეზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში უკმაყოფილება გამოხატეს მთავარ, ნაციონალურ ტელეარხებზე პოლიტიკური რეკლამის სიძვირის გამო. არაკომერციულმა ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდება“-მ საეთერო დრო ქართული ოცნების და პირადად ბატონი ივანიშვილის საწინააღმდეგო ნეგატიური რეკლამებისთვის შეისყიდა. იგივე რეკლამები ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ უფასო პოლიტიკური რეკლამის სტატუსით გაუშვა ეთერში. 17 სექტემბერს არაკომერციულმა ორგანიზაციამ „მომავალი დღეს“ დაიწყო ფასიანი რეკლამების ეთერში გაშვება, რომლებშიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მთავრობა და პრეზიდენტი სააკაშვილი ნეგატიურად არიან წარმოჩენილი.

VIII. საჩივრები და აპელაციები

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით საჩივრების უმრავლესობა საოლქო საარჩევნო კომისიებში იქნა წარდგენილი და ისინი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნას და საარჩევნო უბნების საზღვრების განსაზღვრას ეხებოდნენ. მხოლოდ რამოდენიმე შემთხვევაში მოხდა საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიების წინააღმდეგ სარჩელების სასამართლოში შეტანა, სასამართლოების მიერ არცერთი ეს საჩივარი არ ყოფილა დაკმაყოფილებული. ამ მომენტისთვის ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიისთვის ცნობილია 102 საჩივრის შესახებ, რომლებიც 73-დან 25 საოლქო საარჩევნო კომისიაში იქნა შეტანილი[20]. საჩივრების უმრავლესობა საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობას და ამ კომისიების წევრების დანიშვნას ეხებოდა.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შეტანილი 54 საჩივრიდან ცესკომ გადაწყვეტილება 42 საჩივარზე გამოიტანა, მათ შორის ერთი გადაწყვეტილება კანდიდატის ხოლო ოთხი გადაწყვეტილება კი საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციას ეხებოდა. 14 საჩივრის დაკმაყოფილება მოხდა, მათ შორის ერთი საჩივარი ადმინისტრაციულ შენობებში სამი საარჩევნო უბნის განლაგებას ეხებოდა. ამ შემთხვევაში ცესკომ საოლქო საარჩევნო კომისიას ამ სამი საარჩევნო

[20] აქედან 31 საჩივარი დაკმაყოფილდა, 3 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 54 არ იქნა დაკმაყოფილებული ხოლო 11 საჩივარი არ იქნა განხილული. სამ საჩივარზე გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. საოლქო საარჩევნო კომისიის რამოდენიმე გადაწყვეტილება სასამართლოში იქნა გასაჩივრებული, თუმცა სასამართლომ აღნიშნული საჩივრები არ დააკმაყოფილა.

უბნის სხვაგან გადატანა სთხოვა[21]. ცესკომ მიიღო 25 თხოვნა დარღვევებზე ადმინისტრაციული ოქმების შედგენის თაობაზე; ცესკომ უარყო ორი თხოვნა, თუმცა მინიმუმ 14 შემთხვევაში ცესკომ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს ადგილობრივი საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების დაჯარიმება მათ მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო სთხოვა, ამ მიზნით საოლქო საარჩევნო კომისიებმა სასამართლოში შესაბამისი საჩივრები შეიტანეს. 17 სექტემბერს დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოსტერის მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე გამოქვეყნებისთვის 2,000 ლარით იქნა დაჯარიმებული.

IX. ეროვნული უმცირესობების ჩართულობა

ეროვნულ უმცირესობებს საქართველოს კონსტიტუციით სრული პოლიტიკური უფლებები გააჩნიათ, 2002 წლის აღწერის მიხედვით ეროვნული უმცირესობები საქართველოს მოსახლეობის 16 პროცენტს შეადგენენ. ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობებია აზერბაიჯანელები (6.5 პროცენტი) და სომხები (5.7 პროცენტი), რომლებიც ძირითადად სასაზღვრო რეგიონებში ცხოვრობენ. მიმავალ პარლამენტში სულ მხოლოდ ექვსი დეპუტატია (4 პროცენტი), რომლებიც ეროვნულ უმცირესობას განეკუთვნებიან და ეროვნული უმცირესობების სრული ინტეგრაცია გამოწვევად რჩება. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ, ქართულმა ოცნებამ, ქრისტიან-დემოკრატიულმა გაერთიანებამ, თავისუფალმა საქართველომ, ლეიბორისტულმა პარტიამ და ახალმა მემარჯვენეებმა კანდიდატებად ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებიც დაასახელეს. ახალქალაქში ხუთი მაჟორიტარობის კანდიდატი, მათ შორის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების კანდიდატები, წარმოშობით სომხები არიან; ნინოწმინდის რაიონში ოთხი მაჟორიტარობის კანდიდატი ასევე სომხები არიან. მარნეულში ექვსი მაჟორიტარობის კანდიდატი წარმოშობით აზერბაიჯანელია. ცესკომ საარჩევნო სიები, ბიულეტენები და ოქმები ეროვნული უმცირესობების ენებზე თარგმნა, ცესკომ ასევე ჩაატარა ტრეინინგები ეროვნული უმცირესობების ენებზე. გარდა ამისა ცესკოს გახსნილი აქვს სამენოვანი ცხელი ხაზი და რეგულარულად უშვებს ეთერში ამომრჩევლებისთვის განკუთვნილ ინფორმაციას სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

X. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

19 სექტემბრის მონაცემებით არჩევნებზე დაკვირვებისთვის საჭირო აკრედიტაცია 45-მა ადგილობრივმა და 48 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციამ

[21] გარდა ამისა არ დაკმაყოფილდა ან არ იქნა განხილული 28 საჩივარი, მათ შორის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ შედგენილი საჩივარი, რომელიც ცესკოს მიერ 3 თებერვალს მიღებულ #6 განკარგულებას ასაჩივრებდა, რომლის მიხედვით თითოეულ საარჩევნო უბანზე მაქსიმუმ 1,500 ამომრჩეველი შეიძლებოდა ყოფილიყო რეგისტრირებული. სასამართლომ ძალაში დატოვა ცესკოს ეს გადაწყვეტილება.

მიიღო. მთლიანობაში 92-მა ორგანიზაციამ ითხოვა აკრედიტაცია. შვიდ ადგილობრივ და ექვს საერთაშორისო ორგანიზაციას რეგისტრაციაზე უარი პროცედურული დარღვევების საფუძველზე უთხრეს. ამას გარდა 9 სექტემბერს ცესკომ რეგისტრაციაზე უარი უთხრა რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივ პალატას რის მიზეზადაც ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არ არსებობა და საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ უპატივცემულობა იქნა დასახელებული[22]. სამი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია ხმების ნაწილობრივი პარალელული დათვლის განხორციელებას აპირებს[23]. მოსალოდნელია ასევე რამოდენიმე ექზიტპოლის ჩატარება. ცესკო დაახლოებით 20,000 ადგილობრივი და 2,000 საერთაშორისო დამკვირვებელს ელის.

XI. მისიის საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია აგრძელებდა მის რეგულარულ საქმიანობას, ხვდებოდა ქვეყნის ოფიციალურ პირებს, საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებს, კანდიდატებს და პარტიების წარმომადგენლებს, სასამართლოების ოფიციალურ პირებს, მედიის წარმომადგენლებს, სამოქალაქო საზოგადოების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი შეხვდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო დელეგაციას, რომელსაც ლუკა ვოლონტე (იტალია) ხელმძღვანელობდა. მისიამ მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს მიაწოდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით განლაგებული გრძელვადიანი დამკვირვებლები აგრძელებენ საარჩევნო მზადებაზე და კამპანიაზე დაკვირვებას, ისინი ასევე მოკლევადიანი დამკვირვებლების ადგილებზე განთავსებისთვის ემზადებიან.

---

22 ცესკოს დადგენილება #263/2012

23 ესენია სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), ახალი თაობა ახალი ინიციატივა (NGNI) და ამომრჩეველთა ლიგა.